ქალთა საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს სწავლების ცენტრმა გამართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - „ქალთა საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად“.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები (პოლიტიკური პარტიები/საინიციატივო ჯგუფები).

ღონისძიება ცესკოს თავმჯდომარემ გიორგი კალანდარიშვილმა და სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა გახსნეს. მათ მიმოიხილეს საკანონმდებლო სიახლეები, რომელიც მიმართულია არჩევნებში კანდიდატი ქალების მონაწილეობის ზრდაზე და მანდატის ფარგლებში გამოხატეს მზაობა, სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელი შეეწყოს საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გააქტიურებას და საარჩევნო საკითხებზე მათი ინფორმირებულობის ზრდას.

საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეებთან ერთად განიხილეს შემდეგი ძირითადი საკითხები: გენდერული თანასწორობა არჩევნებში; ძირითადი საკანონმდებლო სიახლეები მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან მიმართებით; საკრებულოს წევრობის/მერობის კანდიდატის რეგისტრაციის წესი და ვადა; წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია; სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესში; კიბერ შევიწროების პრევენცია; საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა (კომუნიკაცია საარჩევნო კომისიებთან; კენჭისყრის დღე; საარჩევნო დავები).

საინფორმაციო შეხვედრა 2 სექტემბერს დისტანციურ ფორმატში გაიმართა და მასში მონაწილეობა 12 საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა 29 ქალმა მიიღო.

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3160-qalta-saarchevno-shesadzleblobebis-gadzlierebis-programa